პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 მაისი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 103 (9514) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



### თბილისის IX საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში

თბილისი 1987

## წყალბურთის „ვარსკვლავები" —თბილისში

**დღეს** თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში იწყება მეცხრე საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე.

ვინ გაიმარჯვებს, იუგოსლავიის თუ საბჭოთა ქვეყნის ნაკრები? ეს კითხვა აღელვებთ წყალბურთის მოყვარულთ, რომლებმაც იციან, რომ ახლახან ათენში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში სწორედ ამ გუნდებმა აჯობეს ყველას. მათ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით გამარჯვება იუგოსლავიის გუნდს მიეკუთვნა. თბილისში ამ გუნდებთან ერთად გამოვლენ უკანასკნელი მსოფლიო თასის გათამაშების ფინალისტები — აშშ-ისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდებიც, რომლებმაც ათენში შესაბამისად მეოთხე და მერვე ადგილები დაიკავეს.

ერთი სიტყვით, თბილისში მსოფლიო თასის გათამაშების რვა ფინალისტიდან ოთხი გამოვა, რაც ამ ტურნირისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის. აქვე იასპარეზებენ ბულგარეთის, რუმინეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდებიც.

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდებიდან აშშ-ის ნაკრები თბილისის საერთაშორისო ტურნირის დებიუტანტია.

წლევანდელი ტურნირის მონაწილეთაგან ყველა წინა ასპარეზობებში მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს ნაკრები გუნდები გამოვიდნენ. საბჭოთა წყალბურთელებმა შვიდჯერ გაიმარჯვეს და მხოლოდ ერთხელ დაიკავეს მეორე ადგილი (იმ წელს, როცა რუმინეთის ნაკრებმა გაიმარჯვა).

საქართველოს ნაკრები ორჯერ, 1980 და 1984 წლებში, მესამე ადგილზე გავიდა, შარშან კი გუნდმა საუკეთესო მაჩვენებელს მიაღწია — მეორე ადგილი დაისაკუთ-

იხ. მე-4 გვ.

# წარმატება და... კიდევ წარმატება

### კახა ლომიშვილმა კვლავ გვასახელა

**მოსკოვი.** კრილატსკოეს ოლიმპიურ არხზე დამთავრდა ოლიმპიური ჩემპიონის იულია რიაბჩინსკაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება საბაიდარო ნიჩბოსნობაში. ქართველმა ნიჩბოსანმა კახა ლომიშვილმა ამ უმაღლესი კატეგორიის რეგატაშიც ისახელა თავი. მან ახლახან საკავშირო თასის გათამაშებაში და საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოპოვებულ სამ ჯილდოს (ერთი ვერცხლისა და ორი



ბრინჯაოს მედალი) კიდევ ორი მიუმატა: ბელორუსიელ ანდრეი ზუევთან ერთად მეორე ადგილი დაიკავა ორადგილიანი ბაიდარებით 10 000 მეტრზე რბოლაში, 1000-მეტრიან დისტანციაზე კი ეს წყვილი მესამე იყო. ამ წარმატებისთვის კახა ლომიშვილს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

წერილს კახა ლომიშვილის ამ შეჯიბრებაში გამოსვლის შესახებ „ლელოს" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

**ს უ რ ა თ ზ ე:** კახა ლომიშვილი და მისი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ ცხოვრებოვი.

**გაგრაში ბზიფის იპოდრომზე დამთავრდა საქართველოს პირველობა იუნიორ და ჭაბუკ ცხენოსანთა შორის (ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით). იუნიორთა შეჯიბრებაში სამჭიდში შესანიშნავად იასპარეზა გაგრელმა მხედარმა ბესლან ტარბამ (მწვრთნელი დ. ხოფერია). ანგარიშს ამ ასპარეზობის შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.**



**ს უ რ ა თ ზ ე:** ბესლან ტარბა.

თამაზ ქიქავას ფოტო.

## დაჯილდოება

**საბჭოთა კავშირის** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, საბჭოთა საჭადრაკო სკოლის განვითარებაში შეტანილი შემოქმედებითი წვლილისთვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, დიდოსტატი **გარი კიმის ძე კასპაროვი.**

•••

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საპატიო ნიშნით — „ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის" დააჯილდოვა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ბიოქიმიისა და ბიომექანიკის კათედრის პროფესორი **ლევან ვლადიმერის ძე ჩხაიძე.**

## ნინო სალუქვაძე და სხვა არმიელები

**საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი**

**თბილისელი** არმიელი მსროლელები წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში, მინსკში, რომ ჩატარდა. მათგან საუკეთესო შედეგი კვლავ ნინო სალუქვაძემ აჩვენა. ნინომ მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში (მპ-5) საერთაშორისო კლასის შედეგით (589 ქულა) I ადგილი დაიკავა.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი კიდევ ერთხელ შეასრულა ვლადიმერ სამოილენკომ მშ-6 ვარჯიშში — 385 ქულა. იგი მე-4 ადგილზე გავიდა. ბრინჯაოს მედლები მიიღეს ოლგა სამოილენკომ (პპ-2 ვარჯიშში, 382 ქულა) და ვაჟა დაუშვილმა (პპ-3, 384 ქულა). იუნიორთა შეჯიბრებაში ქვარცხლბეკის მე-3 საფეხური დაიკავა ჟანა ზაქარიანმა (მპ-5, 382 ქულა).

# მძაფრ ბრძოლაში



თამაშობენ ელენა ახმილოვსკაია (მარცხნივ) და ქეთევან არახამია.

**ჰენრიეტა** ლაგვილავა არ ხუმრობს! მან კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და 8 ტურის შემდეგ 4 ქულით (3 პარტია უკეთეს პოზიციაში აქვს გადადებული) საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XI საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი ლიდერია. ქუთაისელი ქალიშვილი საერთაშორისო ოსტატის ბალს (6,5 ქულა) ამ ტურნირში უსათუოდ შეასრულებს, მაგრამ ალბათ ამასაც არ დასჯერდება. გუშინწინ ლაგვილავა ეთამაშა ქეთევან კახიანს, რომელიც ამ ტურნირში წარუმატებლად თამაშობს. თუმცა, მასაც აქვს მისალოცი, ორიოდე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ მას ოსტატის წოდება მიანიჭეს.

ლიუდმილა ზაიცევამ შავებით დებიუტშივე შეძლო უპირატესობის მოპოვება თამარ ხუგაშვილთან შეხვედრაში. იგი ლაზიერით შეიჭრა მის ბანაკში და გამსვლელი პაიკი შექმნა. ხუგაშვილმა თავი დამარცხებულად ცნო.

ქეთევან არახამიამ, ასევე შავებით, 24-ე სვლაზე ტაქტიკური კომბინაცია განახორციელა ლილიანა ლეშნერთან, მოიგო ფიგურა და პარტიაც.

ევგენია პეიჩევასა და ელენა ახმილოვსკაიას ორთაბრძოლაში თბილისელმა დიდოსტატმა ზუსტი სვლებით მოიგო ორი პაიკი და

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

# გზატკეცილზე ურთიერთობა გაირკვა

**მცხეთის** რაიონი საგზატკეცილო ველოსიპედისტთა ტრადიციული საასპარეზოა. ამ დღეებში აქ საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით საინტერესო შეჯიბრება მოეწყო. გუნდური გამარჯვებისთვის თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, მცხეთის, რუსთავისა და აბაშის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ასპარეზობაში უკონკურსოდ იყო დაშვებული თბილისის მეორე გუნდიც, მაგრამ ჯერ პირად შედეგებს გაგაცნობთ.

გოგონათა შორის ყველა საპრიზო ადგილი თბილისელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ინდივიდუალურ რბოლაში 15 კილომეტრზე საუკეთესო შედეგი ოლგა საპრიკინას ჰქონდა — 27.02. მეორე ადგილზე გასული ტატიანა მოდიჩევა გამარჯვებულს 38 მეასედი წამით ჩამორჩა.

საპრიკინამ ამ ასპარეზობაში ელზა შახპარონიანთან ერთად წყვილთა შეჯიბრებაც მოიგო. ამ დუეტმა ყველაზე ბევრი ქულა (60) დააგროვა.

თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე გუნდური რბოლა 25 კილომეტრზე. პირველმა კოლექტივმა მანძილი 42.08 წამში დაფარა. მეორე ადგილი აფხაზეთის მოსწავლეებმა დაისაკუთრეს (48.17), მესამე — ქუთაისელებმა (48.27).



ჭაბუკთა შეჯიბრებებში თბილისელი ველოსიპედისტები აშკარად გრძნობდნენ რაიონების წარმომადგენელთა მეტოქეობას. უფრო მეტიც, 25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვება აჭარის წარმომადგენელმა ალექსანდრე პავლუხინმა მოიპოვა — 34.57 (თბილისელი ვიქტორ ოვანესიანი მეორე იყო), კრიტერიუმში (საშუალედო ფინიშებით) კი პირველი რუსთაველი ოდისეი ბალათუროვი აღმოჩნდა (36 ქულა). გუნდური რბოლა 50 კილომეტრზე, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის პირველმა კოლექტივმა დიდი უპირატესობით მოიგო—1:07.15.

მოსწავლეთა სპარტაკიადის საერთო-გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი — 526,5 ქულა, 2. ქუთაისი — 280,5, 3. აფხაზეთი — 265, 4. მცხეთა — 216,5, 5. რუსთავი — 171, 6. აბაშა — 95.

თბილისელთა წარმატება (მწვრთნელები ავთანდილ კობიაშვილი და გია კორძახია), როგორც ზემოთ ვთქვით, კანონზომიერია, ვინაიდან მოსწავლე ველოსიპედისტთა საუკეთესო ძალები სწორედ თბილისშია თავმოყრილი. ქუთაისელმა ველოსიპედისტებმა (მწვრთნელი რამაზ წაქაძე) წინ გადადგეს ნაბიჯი. ეს მისასალმებელი ფაქტია. კარგად გამოვიდნენ მცხეთის ველოსიპედისტებიც (მწვრთნელი ივანე რთველიაშვილი). აი, რუსთაველთა V ადგილი კი მოულოდნელი იყო, მით უფრო, რომ ეს გუნდი (მწვრთნელი იური კრასავცევი) ერთ დროს დედაქალაქის ველოსიპედისტებსაც სერიოზულ მეტოქეობას უწევდა.



## კვირეული, რომელიც ველოსპორტის ზეიმად იქცა

**სხვადასხვა** ხასიათისა და რანგის ასპარეზობები გაიმართა საკავშირო ველოკვირეულის მანძილზე. ჩატარდა სარაიონო და საქალაქო რბოლები, რომლებშიც თითქმის ყველა ასაკის ველომოყვარული მონაწილეობდა. ყველაზე პატარები სამთვლიანი ველოსიპედებით გამოვიდნენ საბავშვო ბაღების პირველობის სტარტზე, თბილისის განათლების სამმართველოს ველოსპორტის სკოლამ კი ქალაქის ძველ ტრეკზე ღია ჩემპიონატი ჩაატარა 140 მოზარდის მონაწილეობით. ასპარეზობის პროგრამაში იყო გიტი 200 მეტრზე სვლით, 500 მეტრზე ადგილიდან, სპრინტი და 2 კმ-ზე გამოდევნებით რბოლა.

ორდღიანი შეჯიბრების შემდეგ 200 მეტრზე გიტში ყველას აჯობეს ველოსპორტის სკოლის აღსაზრდელებმა მირიან დოლიძემ და გია ნატროშვილმა. მათ ერთნაირი შედეგით 13,4 გაიყვეს პირველი ადგილი. მესამე ადგილზე მათი თანატოლი ოლეგ ლისოვსკი გავიდა — 13,5. ოლეგმა ერთგვარი რევანში აიღო სპრინტერულ რბოლაში — აქ მან გაიმარჯვა. მომდევნო ადგილებზე ნატროშვილი და გიორგი მურჯიკნელი გავიდნენ. ლისოვსკის არც 500 მეტრზე ადგილიდან გიტში შეურცხვენია თავი — 38,3. მეორე ადგილი გია პოლომარჩუკს ხვდა წილად — 38,5, მესამე — კოტე ბოლქვაძეს — 38,8. 2 კმ-ზე გამოდევნებით რბოლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ნატროშვილი — 2.28,5, 2. ლისოვსკი — 2.30,1, 3. ო. შატალოვი — 2.32,3. გოგონები: 1. ელზა შახპარონიანი— 2.45,1, 2. ოლგა საპრიკინა — 2.45,5, 3. ტატიანა მოდიჩევა — 2.48,5.

• • •

**ველოკვირეულის** დამაგვირგვინებელი შეჯიბრება იყო თბილისის კრიტერიუმი, რომელიც კვირას რუსთაველის პროსპექტზე ჩატარდა. მის მონაწილეებს 2,5 კმ-იანი რკალი (ლენინის სახელობის მოედანი — სასტუმრო) 7-ჯერ უნდა შეეკრათ. ასპარეზობაში, რომლის მთავარი მსაჯი იყო ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეროვნული კომისარი ი. გოცირიძე, საქართველოს 60 უძლიერესი ველოსიპედისტი მონაწილეობდა.

პირველი ადგილი დაიკავა პროფკავშირთა ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა ვასილ დავიდენკომ, მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი სპორტის ოსტატი ალექსანდრე სვეტინკოვი გავიდა, მესამეზე — დინამოელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თემურაზ გოგოლაძე.

• • •

**სამგორის** რაიონის სპორტკომიტეტმა ვარკეთილის დასახლების II მიკრორაიონში ჩაატარა ველომასობრივი ღონისძიება, რომელშიც რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეები და საბავშვო ბაღების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. პროგრამაში იყო შეჯიბრებები სხვადასხვა დისტანციებზე. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 700-მდე მოზარდმა. გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო მედლები, რომლითაც სპორტსახკომმა მოამარაგა ორგანიზატორები.

• • •

**ნორჩ** ველოსიპედისტთა ეს ასპარეზობა კი თბილისის კალინინის რაიონის სპორტკომიტეტმა კომუნარების ბაღში ჩაატარა. ნორჩებს სამთვლიანი ველოსიპედებით სულ რაღაც 140-მეტრიანი ტრასა უნდა გაევლოთ. უნდა გენახათ, როგორ მოუთმენლად ელოდნენ ისინი სტარტზე გასვლას. შეჯიბრებაში 16 საბავშვო ბაღის 10-10 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ყველას 61-ე ბაღის აღსაზრდელებმა აჯობეს. მეორე ადგილზე გავიდა 162-ე ბაღის გუნდი, მესამეზე — 152-ე ბაღის ნორჩი ველოსიპედისტები. გოგონებიდან თავი ისახელა ლიკა წერეთელმა (170-ე ბაღი), რომელსაც ზუსტად 28 წამი დასჭირდა ამ მანძილის დასაძლევად, მომდევნო ადგილები დაიკავეს ლელა კვეკვესკირმა (162-ე ბაღი) და თეონა ღვინჯილიამ (მე-4 ბაღი).

ბიჭების შეჯიბრებაში გამარჯვებულმა თენგიზ მებალიშვილმა (162-ე ბაღი) 27 წამი მოანდომა ფინიშამდე მისვლას. მას კვალდაკვალ მიჰყვნენ დავით კრიხელი (161-ე ბაღი) და დიმიტრი ფირცხელაიშვილი (61-ე ბაღი).

## მძაფრ ბრძოლაში

დასასრული

მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა.

ქრისთინ ნიუბერგისა და ლიჯია ქიკმანის შეხვედრაში ქიკმანმა მეფის ფლანგზე წამოიწყო იერიში, მერე მიტელშპილში პაიკი დათმო, მაგრამ სამაგიეროდ ეტლით მეორე ჰორიზონტზე შეიჭრა და პაიკს ბოლო ჰორიზონტისკენ გაუხსნა გზა. ნიუბერგმაც საათი გააჩერა.

ნატალია კონოპლიოვასა და ციალა ქასოშვილის პარტიაში კონოპლიოვამ ხარისხი შესწირა მეტოქეს. ქასოშვილი დაიბნა, არაზუსტი სვლა გააკეთა და ცაიტნოტში წასაგები პოზიცია მიიღო. პარტია მოსკოველი დიდოსტატისთვის უკეთეს პოზიციაში გადაიდო.

როგორც ხედავთ, VIII ტური უშეღავათო ბრძოლებში ჩატარდა. მხოლოდ ერთი პარტია გადაიდო და არც ერთი შეხვედრა ყაიმით არ დამთავრებულა.

გუშინ თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ელენა ახმილოვსკაია და თამარ ხუგაშვილი.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ელენა ახმილოვსკაია — 6,5 (1), ქეთევან არახამია — 6 (1), ნატალია კონოპლიოვა — 4,5 (1), ლიჯია ქიკმანი — 4,5, ჰენრიეტა ლაგვილავა — 4 (3).

**ვახილ ვაშაკიძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

## სარბიელი უცხოობს წვევამდელებს

**არმიაში გასაწვევი ახალგაზრდების ფიზიკურ მომზადებას ყველგან დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ**



კროსის დისტანციაზე.

**ტრადიციად** იქცა წვევამდელთა სპარტაკიადა. იგი წელიწადში ორჯერ (გაზაფხული და შემოდგომა) ტარდება. ჯერ ეწყობა რაიონული, შემდეგ კი საქალაქო და რესპუბლიკური სპარტაკიადები; წვევამდელთა ასპარეზობა საქართველოს სპორტსახკომის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატების ხელმძღვანელობით ტარდება.

თბილისის წვევამდელთა საგაზაფხულო სპარტაკიადაში გაიმარჯვა პირველი მაისის რაიონის ნაკრებმა. მეორე იყო საბურთალოს გუნდი, მესამე ადგილზე 26 კომისრის სახელობის რაიონის წარმომადგენლები გავიდნენ.

პირად პირველობაში ყველას აჯობა მურთაზ ჰეჟიამ (132 ქულა), მეორე იყო სიმონ სხირტლაძე (90), მესამე — სერგეი უსტიმჩუკი (89).

აღსანიშნავია, რომ პირველი მაისის, საბურთალოს, 26 კომისრის, ლენინის, ოქტომბრისა და გლდანის რაიონებმა კარგად მომზადებული სპორტსმენები გამოიყვანეს, რასაც სხვა რაიონებზე ვერ ვიტყვით. მაგალითად, საქარხნო რაიონი ამ სპარტაკიადაზე მხოლოდ განაცხადის წარმოდგენით დაკმაყოფილდა. აქვე უნდა ითქვას, რომ რაიონების სამხედრო კომისარიატებისა და კომკავშირის რაიონული კომიტეტების წარმომადგენლები (გლდანისა და კიროვის რაიონის მუშაკთა გარდა) ღონისძიებას არ დასწრებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შეჯიბრების ორგანიზაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ.



მურთაზ ჰეჟია.

**კარლო სალუქვაძე.**
**ავტორის ფოტოები.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### „ვის, ან რას ელოდებიან?“

**გაზეთ „ლელოს“ მიმდინარე წლის 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში („ვის, ან რას ელოდებიან?“) მოტანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. 15 აპრილს რაიაღმასკომის სხდომაზე ვიმსჯელეთ ამის შესახებ, დამნაშავეები დავსაჯეთ და დავსახეთ ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.**

**უკვე შეკეთდა მორღვეული ღობეები, დაიგო ასფალტი, შემოიღობა სამი მოედანი, კეთილმოეწყო მინიფეხბურთის მოედნები (დაიდგა 7 წყვილი კარები).**

**ახლა წესრიგში მოგვყავს ის მოედნები, რომლებზეც წერილში არაფერია ნათქვამი. გლდანის მასივის მე-7 მიკრორაიონში შენდება 8 ახალი სპორტული მოედანი, შეკეთდა კალათბურთის დაზიანებული ფარები, დაიხაზა მოედნები.**

**სპორტული მოედნების კეთილმოწყობის საკითხი აყვანილია კონტროლზე.**

**ნ. კვირიკაშვილი,**
**გლდანის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.**

# თამამი დებიუტანტები

## ჩემპიონატის ექო

**კლასიკური** სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა რუსტემ კაზაკოვმა ევროპის ჩემპიონატის წინ თამამი ექსპერიმენტი ჩაატარა: გუნდში რვა დებიუტანტი ჩარიცხა. ასეთ უკიდურეს ზომას მწვრთნელები ორ შემთხვევაში მიმართავენ — როცა სუსტი შედეგების გამო იძულებული არიან გუნდი გადაახალისონ, ან როცა რაიმე დიდი შეჯიბრებისთვის ემზადებიან და რეზერვს ცდიან. რუსტემ კაზაკოვს სამარჩიელო არაფერი ჰქონდა, საბჭოთა კავშირის ნაკრები ყველა შემთხვევაში გამარჯვების მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, აი ახალგაზრდა მოჭიდავეთა შემოწმებას ოლიმპიური თამაშების წინა წელს კი პრაქტიკული სარგებლობა შეეძლო მოეტანა. ერთი სიტყვით, ექსპერიმენტს ჰქონდა აზრი და მან ყოველმხრივ დადებითი შედეგი გამოიღო.

მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, თუ რომელმა ქვეყანამ რამდენი მედალი მიიღო 8-10 მაისს ტამპერეში:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 6 | 1 | 1 |
| ბულგარეთი | 2 | 3 | 2 |
| ფინეთი | 1 | 1 | 2 |
| იტალია | 1 | — | — |
| პოლონეთი | — | 2 | 1 |
| უნგრეთი | — | 1 | 2 |
| რუმინეთი | — | 1 | — |
| შვეცია | — | 1 | — |
| საფრანგეთი | — | — | 1 |
| გდრ | — | — | 1 |

გუნდური გამარჯვება, ცხადია, საბჭოთა ათლეტებმა მოიპოვეს. მეორე ადგილზე ბულგარელი მოჭიდავეები გავიდნენ, ამ ორი ფავორიტის წარმატება ეჭვს არ იწვევდა, აი, ფინელთა მესამე ადგილი კი ჩემპიონატის ერთ-ერთი სენსაცია იყო. ფინელებმა თითო ოქროს (პეხკონენი), ვერცხლისა (სოლომიაკი) და ორი ბრინჯაოს (სიპილია და კოსკელა) მედალი მოიპოვეს. შედარებით დათმეს პოზიცია პოლონეთისა და უნგრეთის ათლეტებმა. მაგრამ ყველაზე დიდი მოულოდნელობა რუმინელთა წარუმატებლობა იყო. ამ ქვეყნის გუნდს, რომელიც უძლიერესთა ექვსეულში ვერც კი მოხვდა, მხოლოდ ერთი ვერცხლის პრიზიორი ჰყავს (ანდრეი).

გთავაზობთ პრიზიორთა სიას წონითი კატეგორიების მიხედვით:

**48 კგ.** 1. ვ. მაენცა (იტალია), 2. ბ. ცენოვი (ბულგარეთი), 3. ს. სუვოროვი (სსრ კავშირი).

**52 კგ.** 1. ა. კალაშნიკოვი (სსრ კავშირი), 2. კ. ვადაჟი (უნგრეთი), 3. რ. კერპაჩი (პოლონეთი).

**57 კგ.** 1. კ. პეხკონენი (ფინეთი), 2. ე. რადოევი (ბულგარეთი), 3. პ. მოგურიე (საფრანგეთი).

**62 კგ.** 1. ჟ. ვანგელოვი (ბულგარეთი), 2. ვ. ვოზნი (სსრ კავშირი), 3. ი. ბოდი (უნგრეთი).

**68 კგ.** 1. ა. იბაევი (სსრ კავშირი), 2. ე. კოპანსკი (პოლონეთი), 3. ტ. სიპილია (ფინეთი).

**74 კგ.** 1. დ. ტურლიხანოვი (სსრ კავშირი), 2. ი. სოლომიაკი (ფინეთი), 3. დ. მარინოვი (ბულგარეთი).

**82 კგ.** 1. ს. ნასევიჩი (სსრ კავშირი), 2. ბ. დარასი (პოლონეთი), 3. ტ. კომაროში (უნგრეთი).

**90 კგ.** 1. ვ. პოპოვი (სსრ კავშირი), 2. ა. კომშევი (ბულგარეთი), 3. ხ. კოსკელა (ფინეთი).

**100 კგ.** 1. ი. ვასილევი (ბულგარეთი), 2. ვ. ანდრეი (რუმინეთი), 3. ი. კოტკე (გდრ).

**130 კგ.** 1. ი. როსტოროცკი (სსრ კავშირი), 2. ტ. იუჰანსონი (შვეცია), 3. რ. გეროვსკი (ბულგარეთი).

გუნდური ადგილები: 1. სსრ კავშირი, 2. ბულგარეთი, 3. ფინეთი, 4. იტალია, 5. პოლონეთი, 6. უნგრეთი.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის 5 მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „გურია“ და თბილისის „დინამო“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა გაიმართა ფოთში. გაიმარჯვა „გურიამ“ — 1:0, ბურთი ჯიშკარიანმა გაიტანა.

**სხვა მატჩები:**

**„ქაირათი“ — „დინამო“ მნ. 2:1**
**„დინამო“ ქ. — „მეტალისტი“ 2:1**
**„სპარტაკი“ — „ტორპედო“ 1:1**
**„არარატი“ — „ნეფთჩი“ 1:0**

## I ლიგა

**25 მაისს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XII ტურის შეხვედრა იაროსლავლის „შინიკსა“ და ლვოვის ასკ „კარპატის“ შორის. გაიმარჯვეს ლვოველებმა — 3:1.

ლიგის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი, რომელიც რიგაში უნდა გამართულიყო ადგილობრივ „დაუგავასა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის, გადადებულია.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 27 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორ.“ | 11 | 9 | 2 | 0 | 22-4 | 20 |
| „დაუგავა“ | 11 | 8 | 1 | 2 | 18-9 | 17 |
| „ლოკომოტ.“ | 13 | 6 | 5 | 2 | 16-9 | 17 |
| „კოლოსი“ | 12 | 6 | 2 | 4 | 15-10 | 14 |
| „როსტსელ.“ | 11 | 6 | 2 | 3 | 15-10 | 14 |
| „გეოლოგი“ | 12 | 5 | 4 | 3 | 13-8 | 14 |
| „კუზბასი“ | 12 | 5 | 3 | 4 | 12-7 | 13 |
| „ფახთაქორი“ | 11 | 5 | 2 | 4 | 12-12 | 12 |
| „შინიკი“ | 11 | 5 | 2 | 4 | 8-9 | 12 |
| „ზარია“ | 12 | 4 | 4 | 4 | 12-12 | 12 |
| „პამირი“ | 11 | 4 | 3 | 4 | 14-12 | 11 |
| „სარდჯაკი“ | 11 | 4 | 3 | 4 | 7-7 | 11 |
| „მეტალურგი“ | 11 | 4 | 2 | 5 | 12-13 | 10 |
| „კოტაიკი“ | 11 | 4 | 2 | 5 | 12-14 | 10 |
| სკ რ. | 11 | 4 | 2 | 5 | 7-13 | 10 |
| „დინამო“ სტ. | 11 | 3 | 4 | 4 | 10-16 | 10 |
| „კრ. სოვეტ.“ | 12 | 3 | 3 | 6 | 10-11 | 9 |
| „დინამო“ ბ. | 12 | 3 | 3 | 6 | 7-12 | 9 |
| „ფაკელი“ | 12 | 2 | 4 | 6 | 8-14 | 8 |
| „ტორპედო“ ქ. | 12 | 2 | 4 | 6 | 7-14 | 8 |
| სკ „კარპ.“ | 12 | 1 | 4 | 5 | 6-15 | 6 |
| „როტორი“ | 12 | 2 | 1 | 9 | 10-22 | 5 |

### ემზადებიან...

**სსრ** კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები (ასაკი — 1969-70 წლებში დაბადებულნი) ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება. ჩვენი გუნდი მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ამხანაგურ მატჩში შეხვდა ბულგარეთის ნაკრებს. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0, სამივე ბურთი მოსკოვის დინამოელ ს. კირიაკოვის ანგარიშზე მოდის.

# „ბაიერნი“ თუ „პორტუ“?

**ავსტრიის** დედაქალაქი ვენა მესამედ უმასპინძლებს ევროპის ტურნირების ფინალურ მატჩს — 27 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან „ბაიერნი“ (გფრ) და „პორტუ“ (პორტუგალია). 1964 წელს აქ ჩატარდა ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი მილანის „ინტერნაციონალესა“ და მადრიდის „რეალს“ შორის, ხოლო 1970 წელს — თასის მფლობელთა თასის გადამწყვეტი მატჩი — „მანჩესტერ სიტი“ და პოლონეთის „გურნიკი“.

„ბაიერნმა“ 20-ჯერ იასპარეზა ევროპულ ტურნირებში. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია 1974, 1975, 1976 წლებში, როცა ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი, 1967 წელს კი თასების მფლობელთა თასს დაეუფლა,

„ბაიერნის“ მწვრთნელია ცნობილი სპეციალისტი უდო ლატეკი. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ხუთჯერ მოიპოვა გფრ-ის ჩემპიონობა, სამჯერ — თასი, ერთხელაც — ევროპის ჩემპიონთა თასი.

„ბაიერნის“ კარს იცავს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე, ბელგიის ნაკრების წევრი ჟან-მარი პფაფი. მისმა თამაშმა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე საყოველთაო ყურადღება მიიქცია, პფაფი ახლაც კარგ ფორმაშია, ამაზე მეტყველებს ის, რომ 1986-1987 წლებში ჩემპიონთა თასის გათამაშების 8 მატჩში მხოლოდ 5 გოლი გაუშვა. „ბაიერნმა“ მას 1989 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი.

„ბაიერნის“ შემადგენლობაში ფინალურ მატჩში ვერ ითამაშებს გუნდის კაპიტანი კლაუს აუგენტალერი, რომელიც მადრიდის „რეალთან“ განმეორებით მატჩში მინდვრიდან გააძევეს. იგი დისკვალიფიცირებულია ოთხი თამაშით.

„ბაიერნის“ დაცვაში გამოდიან სხვა გამოცდილი ოსტატები — ნორბერტ ედერი, ჰანს ფლუგლერი, ჰელმუტ ვაინკლოფერი, ჰანს-დიტერ ფლიკი.

გუნდის ლიდერია ნახევარმცველი ლოთარ მათეუსი, რომელიც არა მარტო შეტევის შესანიშნავი ორგანიზატორია, არამედ ხშირად თვითონაც წარმატებით აგვირგვინებს იერიშს, მის გვერდით გამოდიან გამოცდილი ფეხბურთელები: ანდრეას ბრემე, ნორბერტ ნაჰტვაი, ჰოლგერ ვილმერი და ახალგაზრდა ჰანს დიორფნერი.

თავდამსხმელთაგან მაღალი შედეგიანობით გამოირჩევა როლანდ ვოლფარტი, ცვალებადი წარმატებით თამაშობენ მიჰაელ რუმენიგე, ლუდვიგ კიოგლი, რომელთაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. საჯარიმო მოედანში კვლავ საშიშია ვეტერანი დიტერ ჰიონესი, იშვიათად გამოდის სათამაშოდ რეინჰოლდ მატი. 1986 წლის ბოლოს „ბაიერნმა“ ბერნის „იანგ ბოისიდან“ გადმოიბირა პერსპექტიული დანიელი ფორვარდი ლარს ლუნდე.

ევროპის ტურნირებში „პორტუ“ უფრო ხშირად გამოდიოდა, ვიდრე „ბაიერნი“, მაგრამ დიდი მიღწევები მას არა ჰქონია, თუ არ ჩავთვლით 1983-1984 წლების თასის მფლობელთა თასის გათამაშებას, როცა გუნდი ფინალში იტალიის „იუვენტუსთან“ დამარცხდა (1:2).

„პორტუს“ 1985 წლიდან წვრთნის არტურ ჟორჟე.

კლუბს ორი მაღალი კლასის მეკარე ჰყავს. ბოლო მატჩებში უმეტესად პოლონეთის ნაკრების ყოფილი მეკარე იოზეფ მლინარჩიკი გამოდის. მეორე მეკარე ჟოზე ზე ბეტუ პორტუგალიის ნაკრების კარს იცავს. როგორც ცნობილია, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ მექსიკის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელებს აუკრძალა ნაკრებში თამაში, მათ შორის — პორტუელ ჟოაუ პინტუს, ინასიუს, ლიმა პერეირას, სოუზას, ჟაიმე მაგალიაეშს, ანდრეს, ჟაიმე პაშეკუს, გომეშს, ფუტრეს. ახლა ამ კლუბის წევრთაგან ნაკრების ღირსებას იცავენ: ზე ბეტუ, ლუიში, ფრაშკუ, კუიმი.

„პორტუს“ დაცვის ხაზი პორტუგალიაში საუკეთესოდ არის აღიარებული. აქ გამოდიან გამოცდილი ოსტატები — ჟოაუ პინტუ, აუგუსტო ინასიუ, ანტონიო ლიმა პერეირა, ედუარდო ლუიში, სელსუ, ლაურეტა.

ნახევარდაცვის ყველა ფეხბურთელს სხვადასხვა დროს უთამაშია ნაკრებში. ტრავმის გამო ფინალში, ალბათ, ვერ გამოვა ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი ჟაიმე პაშეკუ, მაგრამ ეს ხაზი მის გარეშეც ძლიერია — ანტონიო სოუზა, ჟაიმე მაგალიაეში, ანტონიო ანდრე, კარლოს ვერმელინიუ, ანტონიო ფრაშკუ, ჟოზე კუიმი.

საკმაოდ ძლიერია თავდასხმის ხაზიც. პაულო ფუტრე გამოირჩევა დისპეტჩერის თვისებებით. „ოქროს ბუცის“ ორგზის მფლობელი ფერნანდუ გომეში კვლავ გახდა პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი, თავდასხმაში თამაშობენ უცხოელები ალჟირელი რაბაჰ მაჯერი, აგრეთვე, ბრაზილიელები: ვალტერ კასაგრანდე და ჟუარი.

სპეციალისტთა უმრავლესობა ფავორიტად „ბაიერნს“ ასახელებს.

**რევაზ შენგელია.**

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების IX ტურის მატჩები.

აღმავლობით ითამაშა თბილისის „შევარდენი“-სპი-მ თავის მინდორზე სუმგაითის „ვოსხოდის“ წინააღმდეგ. მართალია, თამაში სტუმართა სწრაფი იერიშებით დაიწყო და უკვე მე-2 წუთზე ალიევმა ანგარიშიც გახსნა, მაგრამ თბილისელებმა სულ მალე გარდატეხა შეიტანეს თამაშში, საპასუხო ბურთი ბაკურაძემ გაიტანა, შემდეგ კი ქობულაშვილმა მეორედ აიღო „ვოსხოდის“ კარი. ტაიმის დასასრულამდე ჟვანიამ და ჯოხაძემ კიდევ უფრო დააწინაურეს თავიანთი გუნდი და შესვენებისთვის თბილისელებმა არსებითად გაინაღდეს გამარჯვება — 4:1.

მეორე ტაიმში ბრძოლა გათანაბრდა, მეტოქეებმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს (თბილისელთაგან ეს ჟვანიამ გააკეთა 11-მეტრიანით), თბილისელებმა გაიმარჯვეს — 5:2.

წარმატებას მიაღწია ტყიბულის „მეშახტემაც“, რომელმაც შინ მიიღო ყაზახის „გოიაზანი“.

მიუხედავად იმისა, რომ „მეშახტე“ წლეულს წარუმატებლად თამაშობს და სატურნირო ცხრილის ბოლოში იმყოფება, გულშემატკივრები თავიანთ გუნდს არ აკლებენ მხარდაჭერას, ტყიბულელმა ფეხბურთელებმა ამ დღეს იმედი გაუმართლეს მაყურებლებს და პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს. ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა ბაბუხადიამ, შემდეგ კი ლაფერაძემ კიდევ უფრო დააწინაურა „მეშახტე“.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ანგარიში შეამცირეს — 1:2-მდე, მაგრამ ზაალიშვილმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა და მატჩიც „მეშახტის“ გამარჯვებით დამთავრდა — 3:1.

ჩვენი ტყიბულელი კორესპონდენტი **ელგუჯა ბაქრაძე** აღნიშნავს „მეშახტის“ ფეხბურთელთა მონდომებულ, ენერგიულ თამაშს.

**ამირან ლომაიამ** ფოთიდან შეგვატყობინა ადგილობრივი „კოლხეთისა“ და ოქტემბერიანის „სპარტაკის“ მატჩის შესახებ. მასპინძლებმა წარმატებას უკვე დასაწყისშივე მიაღწიეს. სწრაფი შეტევის შემდეგ ბურთი გაიტანა შევჩუკმა. ტაიმის დამთავრებამდე „კოლხეთის“ რამდენიმე იერიში უშედეგოდ დამთავრდა, მერე კი ქელეხიძემ შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა და მეორე ბურთი გაიტანა „სპარტაკის“ კარში. ამ გამარჯვებით „კოლხეთმა“ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა გათამაშების ცხრილში.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დილა“ (გორი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:1, „ლორი“ (კიროვაკანი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 2:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 0:2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 3:1, „დინამო“ (სოხუმი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 4:2.

**II ლიგა, IX ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 27 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტ.“ | 9 | 7 | 2 | 0 | 14-2 | 16 |
| „ქიაფაზი“ | 9 | 6 | 2 | 1 | 18-9 | 14 |
| „ვოსხოდი“ | 9 | 5 | 1 | 3 | 13-10 | 11 |
| „დინამო“ | 9 | 4 | 2 | 3 | 15-10 | 10 |
| „შევარ.“სპი | 8 | 4 | 1 | 3 | 14-11 | 9 |
| „ყარაბახი“ | 9 | 4 | 1 | 4 | 12-9 | 9 |
| „ავტომობილ.“ | 9 | 4 | 1 | 4 | 13-13 | 9 |
| „კოლხეთი“ | 9 | 3 | 3 | 3 | 10-12 | 9 |
| „ლორი“ | 9 | 4 | 0 | 5 | 6-8 | 8 |
| „ოლიმპია“ | 9 | 4 | 0 | 5 | 9-13 | 8 |
| „დილა“ | 8 | 3 | 2 | 3 | 10-13 | 8 |
| „სპარტაკი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 9-15 | 8 |
| „კოლხოზჩი“ | 9 | 2 | 3 | 4 | 9-9 | 7 |
| „გოიაზანი“ | 9 | 2 | 2 | 5 | 7-13 | 6 |
| „მეტალურგი“ | 9 | 2 | 1 | 6 | 6-11 | 5 |
| „მეშახტე“ | 7 | 1 | 1 | 5 | 5-12 | 3 |



## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

### ესპანეთი

„ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალის“ შეხვედრაში აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა: პირველ ტაიმში მათ ორი გოლი გაიტანეს (რობერტო და ლინეკერი) და კიდევ რამდენიმე კარგი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. მეორე ტაიმის დასაწყისში უგო სანჩესმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ „ბარსელონას“ თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვია — 2:1. ხიხონის „სპორტინგმა“ დაამარცხა „ესპანიოლი“ (4:0). ამ მატჩში „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა ელოიმ. შეხვედრა „სარაგოსასა“ და „მალიორკას“ შორის დამთავრდა ფრედ (1:1).

უგო სანჩესმა, რომელსაც 30 გოლი აქვს გატანილი, გაცილებით ჩამოიტოვა „მდევრები“: ლინეკერი და მაგდალენო („მალიორკა“) — 19-19 ბურთი.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„რეალი“ (მადრიდი)** | **40** | **71:34** | **59** |
| **„ბარსელონა“** | **40** | **57:25** | **57** |

### საფრანგეთი

36-ე ტურის შედეგები: „ოლიმპიკი“ (მარსელი) — „ლანი“ 1:3, „ბრესტი“ — „ბორდო“ 1:1, „მეცი“ — „ნანტი“ 3:2, „სენტ ეტიენი“ — „რენი“ 2:0, „ოსერი“ — „სოშო“ 0:0, „ტულუზა“ — „ნანსი“ 2:1, „მონაკო“ — „პარი სენ ჟერმენი“ 1:1, „ლილი“ — „ტულონი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ბორდო“** | **36** | **55:25** | **51** |
| **„მარსელი“** | **36** | **52:29** | **49** |

### ჰოლანდია

„აიაქსმა“ სტუმრად დაამარცხა „დენ ბოსხი“ (4:1), ორ-ორი ბურთი გაიტანეს ვან ბასტენმა და ბოსმანმა. ასევე სტუმრად „ეინდჰოვენმა“ სძლია „ჰაარლემს“ — 3:0 (ვან დერ ხაიპი — 2, გულიტი). „ფეიენოორდმა“ გაანადგურა „აზ-67“ — 8:0. საინტერესოა, რომ ეს რვა ბურთი რვა ფეხბურთელმა გაიტანა.

სხვა შედეგები: „ვენლო“ — „უტრეხტი“ 3:2, „ზვოლე“ — „ფორტუნა“ (სიტარდი) 3:1, „ტვენტე“ — „ვეენდამი“ 3:0, „გრონინგენი“ — „გოუ ეჰედ იგლზი“ 0:0, „როდა“ — „სპარტა“ 1:2, „დენ ჰააგი“ — „ექსელსიორი“ 5:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ეინდჰოვენი“** | **32** | **89:16** | **55** |
| **„აიაქსი“** | **32** | **86:26** | **51** |

### გფრ

30-ე ტურის შედეგები: „ბაიერნი“ (მიუნხენი) — „ვალდჰოფი“ 3:0, „ჰამბურგი“ — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) 4:1, „ნიურნბერგი“ — „კიოლნი“ 1:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 2:3, „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „შალკე 04“ 3:1, „ვერდერი“ (ბრემენი) — „შტუტგარტი“ 1:0, „ბოხუმი“ — „ბაიერი“ (იურდინგენი) 2:1, „აინტრახტი“ (ფრანკფურტი) — „ჰომბურგი“ 4:0, „ბაიერი“ (ლევერკუზენი )— „ბლაუ ვაისი“ 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ბაიერნი“** | **30** | **59:26** | **47** |
| **„ჰამბურგი“** | **30** | **59:32** | **41** |

### ბელგია

33-ე ტურის შედეგები: „ანდერლეჰტი“ — „გენტი“ 1:0, „მეხელენი“ — „შარლერუა“ 4:2, „რასინგ იეტი“ — „ბრიუგე“ 0:4, „სერკლ ბრიუგე“ — „ბერჰემი“ 2:0, „ლიეჟი“ — „სერანჟი“ 0:0, „ანტვერპენი“ — „კორტრაიკი“ 4:2, „ვარეგემი“ — „მოლენბეეკი“ 0:2, „ლოკერენი“ — „ბეერსხოტი“ 1:0, „ბევერენი“ — „სტანდარდი“ 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ანდერლეჰტი“** | **33** | **71:25** | **55** |
| **„მეხელენი“** | **33** | **55:14** | **55** |

### პორტუგალია

ბოლოსწინა ტურში „ბენფიკამ“ სძლია „სპორტინგს“ (2:1) და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. „პორტუ“ სტუმრად დამარცხდა „ფარენსესთან“ (0:1). სხვა შედეგები: „რიუ ავე“ — „აკადემიკა“ 4:0, „შავეში“ — „პორტიმონენსე“ 0:0, „ელვაში“ — „ბრაგა“ 0:2, „მარიტიმუ“ — „ვარზიმი“ 1:1, „ვიტორია“ (გიმარაეში) — „ბელენენსეში“ 2:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ბენფიკა“** | **29** | **50:22** | **48** |
| **„პორტუ“** | **29** | **61:22** | **44** |

### იტალია

დამატებით შეხვედრაში „მილანმა“ დაამარცხა „სამპდორია“ (1:0). ძირითად დროში ანგარიში არ გახსნილა, მატჩის 102-ე წუთზე კი მასარომ ერთადერთი ბურთი გაიტანა. შემდეგ სეზონში „მილანი“ უეფა-ს თასზე იასპარეზებს.

### კიდევ ერთი წლით...

ინგლისის საკლუბო გუნდებს, როგორც ცნობილია, აკრძალული აქვთ ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობა. ამ ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის მმართველი წრეები ყოველნაირად ცდილობენ დაიბრუნონ თავიანთი კლუბების ევროპულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ უეფა-ს აღმასრულებელი კომიტეტი ჯერჯერობით კვლავ კატეგორიულ უარზეა, ჟაკ ჟორჟემ კი (უეფა-ს პრეზიდენტი) ოფიციალურად განაცხადა:

— სანამ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება სერიოზულად არ მოკიდებს ხელს ხულიგან გულშემატკივართა თავაშვებულობის აღკვეთას, სანამ ინგლისელი მაყურებლები არ შეწყვეტენ აღვირახსნილ ვანდალიზმს ტრიბუნებზე, ინგლისის კლუბებს უეფა-ს შეჯიბრებებზე არ დავუშვებთ არავითარ შემთხვევაში. ემბარგო ჯერჯერობით კიდევ ერთ წელს გასტანს...

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ახლა მონდომებულია წესრიგი დაამყაროს არა მარტო ხულიგან მაყურებლებს, არამედ უშუალოდ უდისციპლინო ფეხბურთელთა შორისაც.

### მასპინძელთა პრობლემები

ევროპის 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართება. სწორედ ამიტომ ეს ქვეყანა, მასპინძლის კვალობაზე, არ მონაწილეობს კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში.

მაგრამ ამის გამო გფრ-ის ნაკრები რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, მას სწორედ ახლა სჭირდება სერიოზული მეტოქეები სპარინგ-მატჩების ჩასატარებლად, გუნდის ხელმძღვანელებს განზრახული აქვთ საერთაშორისო შეხვედრათა ჩატარება იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის, დანიის, შვეციისა და უნგრეთის ეროვნულ გუნდებთან.

გარდა ამისა, ევროპის ჩემპიონატის მომავალმა მასპინძლებმა დაგეგმეს ე. წ. „ოთხთა ტურნირი“, რომელშიც მიიწვევენ სსრ კავშირის, საფრანგეთისა და არგენტინის ნაკრებ გუნდებს.

### № 1-დან № 11-მდე

უეფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა კარგა მოზრდილი თანხით დააჯარიმა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია. ეს იმის გამო მოხდა, რომ ამ ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან ლაიფციგში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დაარღვია საყოველთაოდ მიღებული წესი.

ფრანგების ცნობილი ნახევარმცველი ტიგანა № 14 მაისურით გამოვიდა მინდორზე, უეფა კი კატეგორიულად მოითხოვს ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრებში ძირითად მოთამაშეთა ნუმერაცია იწყებოდეს № 1-ით და მთავრდებოდეს № თერთმეტით.

# წყალბურთის „ვარსკვლავები" —თბილისში

თბილისი 1987

დასასრული

რა. მაშინ საქართველოს ნაკრებმა — თბილისის „დინამომ", ფრედ დაამთავრა შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონთან, იუგოსლავიის გუნდთან, ყველა უმაღლესი ტიტულის მრავალგზის მფლობელი უნგრეთის ნაკრები კი დამაჯერებლად დაამარცხა.

ყოველივე ამან თბილისელთა „აქციები" საერთაშორისო სარბიელზე ასწია — ეს ტურნირი ხომ 1981 წლიდან ფინა-ს კალენდარში შედის, თანაც თბილისის ტურნირი ერთადერთი საერთაშორისო ასპარეზობაა წყალბურთში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება.

იმედია, თბილისელი წყალბურთელები მოპოვებული ავტორიტეტის შესანარჩუნებლად თავდაუზოგავად იბრძოლებენ.

დღეს ერთმანეთს შეხვდებიან: აშშ-ისა და რუმინეთის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის, საქართველოსა და საბერძნეთის გუნდები. შეხვედრები 17 საათზე დაიწყება, 18 საათზე კი ტურნირის საზეიმო გახსნის ცერემონიალი მოეწყობა.

ავთანდილ გურასაშვილი.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# პლუს 2 ქულა

თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა გუნდის ზედიზედ მეორე გამარჯვებამ სპორტის სასახლის სარბიელზე მიმდინარე ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში დააიმედა გუნდის გულშემატკივრები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბურევესტნიკელები წარმატების მიუხედავად, მაინც ბოლო ადგილზე არიან, მაგრამ ახლა მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან უახლოეს მეტოქეს — „ტირასპოლს".

როგორც იცით, ბოლო მატჩი ლენინგრადის „ნევას" ჩვენმა გუნდმა ანგარიშით 24:23 მოუგო. უნდა ითქვას, რომ მასპინძლები პირველ ტაიმში 8 ბურთით დაწინაურდნენ (12:4), ტაიმი 4 ბურთის სხვაობით მოიგეს (17:11), მაგრამ ლენინგრადელებმა ისეთი „გამოდევნებითი რბოლა" შესთავაზეს თავიანთ მეტოქეს, რომ ერთთავად იმის მოლოდინში ვიყავით, როდის გაისმებოდა ფინალური სასტვენის ხმა. სტუმრები ზუსტი ტყორცნებით ზედიზედ ილებდნენ ჩვენს კარს და ბოლოს ერთ ბურთამდე შეამცირეს სხვაობა ანგარიშში. ასე იყო თუ ისე, თბილისელებმა კიდევ 2 ქულა მიუმატეს თავიანთ მარაგს.

სამწუხაროდ, დღესაც მოგვიხდება მწვრთნელთა უდისციპლინობაზე ლაპარაკი. ამჯერად „თავი ისახელა" სტუმართა გუნდის მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა რაიმონდ ბუტანმა, რომელიც წინადღით ასევე საკონფლიქტო სიტუაციის გამო მსაჯებმა ვ. ოჩერეტინმა და მ. სოროტენკომ მოედნიდან გააძევეს.

ტირასპოლელებმა თუმცა პირველი ტაიმი მოუგეს კრასნოდარელებს (13:12), საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ — 24:26. აი, კიეველთა და კაუნასელთა ძალები კი თანაბარი აღმოჩნდა. ამაზე ანგარიშიც მეტყველებს — 17:17 (8:8).

გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ, დღეს კი ბოლოსწინა ტურში, ერთმანეთს ხვდებიან „ბურევესტნიკი" — სკიფ-ი, „ნევა", — „გრანიტასი" და „ტირასპოლი" — ასკ.

# ჭაბუკთა ჩემპიონატი დაიწყო

საფრანგეთის ქალაქებში დაიწყო 16 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი.

ბრძოლაში ჩაებნენ საბჭოთა ფეხბურთელები, მათ ანგარიშით 4:0 დაამარცხეს იუგოსლაველი თანატოლები. ამავე ჯგუფში ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და ავსტრიის გუნდები, თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატში მონაწილე 16 გუნდი 4 ჯგუფადაა დაყოფილი. ფინალურ ეტაპზე გავლენ მხოლოდ ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები.

# გალიამოვას ოქროს მედალი

ყაზანელმა ალისა გალიამოვამ ჩემპიონის სახელი მოიპოვა ინსბრუკში (ავსტრია) გამართულ 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობაში. მან 11 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვა. ბიჭების ტურნირში 12 წლის ლენინგრადელ გატა კამსკის მეცამეტე შედეგი ჰქონდა. აქ 9 ქულით გაიმარჯვა ისლანდიელმა ჰელგი სტეფანსონმა.

# ჩემპიონთა პრიზზე

ტყიბულის კულტურის სასახლეში გაიმართა საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა რაზმეულების გუნდური პირველობა ჭადრაკში „მსოფლიო ჩემპიონთა პრიზზე" — „თეთრი ეტლი". ტურნირში მონაწილეობდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 22 გუნდი. თითოეული კოლექტივის ღირსებას 4 ბიჭი და 7 გოგონა იცავდა.

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, შვიდ ტურად ჩატარდა, გაიმარჯვა ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის პიონერთა რაზმეულის გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგო (35 შესაძლებლიდან 31 ქულა მოაგროვა). გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა (დაფების მიხედვით): სოფიკო ნიკოლაძე, შოთა კუპუხიძე, ალექსანდრე ყაყაშვილი, კახი ქორქოლიანი და თეა ლანჩავა (გუნდის წარმომადგენელი — ლ. ჩიბურდანიძე). ქუთაისელმა მოზარდებმა უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ „თეთრი ეტლის" საკავშირო პირველობაში, რომელიც 4-16 ივნისს ბელორუსიის ქალაქ პინსკში ჩატარდება.

## „ფორმულა-1"-ის ტრასებზე

# ლიდერი შეიცვალა

ბელგიაში, „სპა-ფრანკოშამპის" ტრასაზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპი „ფორმულა-1"-ის ავტომობილებით რბოლაში.

გაიმარჯვა ალენ პროსტმა, რომელმაც ტაქტიკურად სწორად წარმართა რბოლა. ეს მისი 27-ე „დიდი პრიზია". ამრიგად, ალენ პროსტი დაეწია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ჯეკი სტიუარტს (დიდი ბრიტანეთი).

ამ ეტაპზე ქულები ასე განაწილდა: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენი") — 9 ქულა; 2. სტეფან იოჰანსონი (შვეცია, „მაკლარენი") — 6; 3. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ბრებემ ბე-ემ-ვე") — 4, 4. ედი ჩივერი (აშშ, „ეროუზ ბე-ემ-ვე") — 3; 5. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ლოტუს ჰონდა") — 2; 6. რენე არნუ (საფრანგეთი, „ლიჟიე") — 1.

პირად ჩათვლაში სამი ეტაპის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: 1. ალენ პროსტი — 18 ქულა; 2. სტეფან იოჰანსონი — 13; 3. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ვილიამს ჰონდა") — 10; 4-5. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ვილიამს ჰონდა"),



აირტონ სენა (ბრაზილია, „ლოტუს ჰონდა") — 6-6; 6-7. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი"), ანდრეა დე ჩეზარისი — 4-4; 8-9-10. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი"), ედი ჩივერი, სატორუ ნაკაჰიმა — 3-3 ქულა, 11-12. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „ბენეტონ ფორდი"), მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „ცაკსპიდი") — 2-2 ქულა; 13. რენე არნუ — 1.

კონსტრუქტორთა პირველობაზე ქულები ასე განაწილდა: 1. „მაკლარენი" — 31; 2. „ვილიამსი" — 16; 3. „ლოტუსი" — 9; 4. „ფერარი" — 7; 5. „ბრებემი" — 4; 6. „ეროუზ ბე-ემ-ვე" — 3; 7-8. „ბენეტონი", „ცაკსპიდი" — 2-2, 9. „ლიჟიე" — 1.

კვირას, 31 მაისს, მონტე-კარლოს ქუჩებში გაიმართება ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი — მონაკოს „დიდი პრიზი".

(საკუთარი ინფორმაცია).

## ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია.** 27 მაისი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საჭადრაკო სკოლა — 12.05 (2), რიტმული ტანვარჯიში — 19.15 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 20.30 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში: ცსკა (მოსკოვი) — ასკ (მინსკი) — 23.45.

**საქართველოს ტელევიზია.** 27 მაისი; საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში: საქართველო — საბერძნეთი — 21.25.

## „სპორტპროგნოზი" — 22-ე ტირაჟი. 30-31 მაისი.

| წყვილები | | პროგნოზები | | |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა) | | | | |
| 1. „კრასნაია პრესნია" (ივანოვო) — „ისკრა" (სმოლენსკი) | 30 V | 70 | 20 | 10 |
| 2. „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — ასკ რშვსმ (მოსკოვი) | 30 V | 50 | 30 | 20 |
| 3. „ზნამია ტრუდა" (ორეხოვო-ზუევო) — ცსკა — 2 (მოსკოვი) | 30 V | 10 | 70 | 20 |
| 4. „ატლანტასი" (კლაიპედა) — „სპორტი" (ტალინი) | 30 V | 70 | 10 | 20 |
| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა) | | | | |
| 5. „როსტსელმაში" (როსტოვი) — „პამირი" (დუშანბე) | 31 V | 60 | 20 | 20 |
| 6. „დინამო" (სტავროპოლი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 31 V | 30 | 30 | 40 |
| 7. „შინიკი" (იაროსლავლი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 31 V | 30 | 30 | 40 |
| 8. ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 31 V | 70 | 20 | 10 |
| 9. „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (ბათუმი) | 31 V | 50 | 40 | 10 |
| 10. „ფაკელი" (ვორონეჟი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 31 V | 70 | 20 | 10 |
| 11. „როტორი" (ვოლგოგრადი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) | 31 V | 60 | 10 | 30 |
| 12. „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — ასკ (როსტოვი) | 31 V | 60 | 30 | 10 |
| 13. „კოლხი" (ნიკოპოლი) — „კუზბასი" (კემეროვო) | 31 V | 50 | 40 | 10 |

## „სპორტპროგნოზის" ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" მორიგი, მე-19 ტირაჟის შედეგები, რომელიც 9-18 მაისს ჩატარდა.

ტირაჟში დაშვებული იყო 7.616.210 ვარიანტი, 13 შედეგის გამოცნობისთვის (389) მოგებამ 306 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (5,787) — — 39 მანეთი. 11 შედეგის გამოცნობისთვის კი (36.016) 22 მანეთი.

მე-19 ტირაჟის მოგებათა განაღდება მოხდება 1987 წლის 5 ივნისიდან 5 ივლისამდე.

**პეკინი.** ბადმინტონისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ჩინელმა სპორტსმენებმა აბსოლუტურ წარმატებას მიაღწიეს — ყველა ხუთ თანრიგში ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს. შეჯიბრებაში 28 ქვეყნის ორასზე მეტი ბადმინტონისტი მონაწილეობდა. ფინალურ ორთაბრძოლებში ტურნირის მასპინძლების გარდა დანიის, მალაიზიის და სამხრეთ კორეის სპორტსმენები ასპარეზობდნენ.

**ოსლო (ნორვეგია).** მსოფლიოს რეკორდსმენმა და ევროპის ჩემპიონმა შუბის ტყორცნაში ფატიმა უაიტბრედმა (დიდი ბრიტანეთი) მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 68,88 მ. მეორე ადგილზე ნორვეგიელი ტრინა სოლბერგი გავიდა — 66,70 მ. ინგლისელმა ლინფორდ კრისტიმ 200 მეტრზე რბენაში 20,61 წამი აჩვენა.

**ჰაიდენჰაიმი (გფრ).** მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში კრისტიფ ზანერმა ურო 80 მეტრსა და 74 სანტიმეტრზე ტყორცნა. ეს შედეგი მსოფლიოში წლეულს მეორეა და მხოლოდ 2 სანტიმეტრით ჩამორჩება საბჭოთა მძლეოსნის იგორ მიკულინის მაჩვენებელს.

**ბუქარესტი.** 1500 მეტრზე რბენაში რუმინელმა პაულა ივანმა 4.01,03 აჩვენა. ასე სწრაფად წლეულს მსოფლიოში არც ერთ მძლეოსან ქალს არ ურბენია. მიჰაელა შინდეამ რუმინეთის ახალი რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე რბენაში — 11,46.

**პროვო.** კანადელმა სპრინტერმა ბენ ჯონსონმა იუტას შტატის ამ ქალაქში (ზღვის დონიდან 1384 მ. სიმაღლე) 100 მეტრზე რბენაში 10,25 აჩვენა. დისტანციის ბოლო მეტრებზე ჯონსონს ფეხი დაეჭიმა და უკეთესი შედეგის ჩვენება ვერ შეძლო.

**ატლანტა-სიტი (აშშ).** 22 წლის ამერიკელმა ჰარი რეინოლდსმა მძლეოსანთა შეჯიბრებაში ორი დისტანცია მოიგო. 200 მეტრზე მან 20,51 აჩვენა, 400 მეტრზე კი — 45,0.

## კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდები გულმოდგინედ ემზადებიან ასპარეზობისთვის — მონაწილეობენ საკონტროლო ამხანაგურ მატჩებში. იუგოსლავიის ნაკრებმა მარიბორში გფრ-ის კალათბურთელები მიიღო და გამარჯვება მოიპოვა — 111:94 (54:44). გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო გრობოვიჩი (24 ქულა) და პეტროვიჩი (21).

საფრანგეთის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე გამართულ ამხანაგურ მატჩში ძლივს დაამარცხა იტალიის ნაკრები — 77:74 (28:37).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი (ილია ჭავჭავაძის პრ. № 74)

27 მაისი

რაგბი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი)

დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096. თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: ხამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06926